ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4412534

ნომერი: AR1666454

თარიღი : 07.03.2019

გაცემის თარიღი : 13.03.2019

გაცნობის თარიღი : 14.03.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანის , N 11ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხიზანიშვილი პ/ნ 01022009568
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 39ვ ბ. 71

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 394750
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 10.05.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
ვინაიდან არ არის წარმოდგენილი ექსპლუატაციაზე უარის დოკუმენტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ) სამსახური მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი და საკითხის შემდგომი განხილვა იწარმოებს სრულყოფილი დოკუმენტაციის ახალი რეგისტრაციით წარმოდგენის შემთხვევაში და შესაბამისი გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არქიტექტურის სამსახურისთვის მომართული გაქვთ AR1659937 (08/02/2019); AR1662529 (18/02/2019) და AR1664573 (28/02/2019) განცხადებებით და პასუხები შუალედურის და განუხილველის სახით გამოგზავნილი გაქვთ N4391556; N4401827 და 4386861 გადაწყვეტილებებით. იხელმძღვანელეთ ზემოაღნიშნული პასუხებით და განსახილველად წარმოადგინეთ სრულყოფილი დოკუმენტაცია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.